ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2289978

ნომერი: AR1355584

თარიღი : 10.11.2015

გაცემის თარიღი : 11.11.2015

გაცნობის თარიღი : 11.11.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ , რადიო სადგურის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 001/133) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ხოზრევანიძე პ/ნ 58001026721
- ბათუმი თ.გორგილაძის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია,რომლითაც გსურთ რელიეფის დონეთა სხვაობის გამო (რთული რელიეფით განპირობებული არათანაბარი სიმაღლის ნიშნულების გამო) მიწის ნაკვეთის მოსწორება და საყრდენი კედლის მოწყობა . საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ არასწორად იქნა შერჩეული დაგეგმილი სამუშაოებისასთვის საჭირო ნომენკლატურა, აღნიშნული არ წარმოადგენს არც ლანდჩაპტურ მშენებლობას და არც ნაკვეთებს შორის გამყოფ ღობეთაც ვერ იქნება მოაზრებული აღნიშნული წარმოადგენს ისეთ საინჟინრო ნაგებობას , დამცავ კედელს, რომელმაც უნდა იტვირთოს გრუნტის ჩამოშლისა და შემდგომში აღნიშნულ ნაკვეთის უსაფრთხო ექსპლუატაცია ან ასევე მისი შემდგომი განვითარება. აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები, როგორც მიწის მოჭრა (რაცასახული უნდა იყოს მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში ერთ ერთ ეტაპად) და საყრდენი კედლის კედლის მშენებლობა ვერ განიხილება I კლასის ობიექტად მითუმეტეს რომ 2014 წლის 3 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #655 დადგენილების თანახმად შეტანილი იქნა ცვლილება 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებაში «მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ» მუხლი 65–მემუხლის მე-3 და 4 პუნქტებში. აქედან 3 პუნქტის გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური თვლის, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო კედელი არის ისეთი ობიექტი რაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვას.

ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა). ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინასტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები შესაბამისად.

პირველი სტადიის დასრულების შემდგომ სამსახურის მისამართზე www.tas.ge უნდა აირჩიოთ მშენებლობის ნებართვა სამეურნეო და საწარმოო ობიექტები–მშენებლობის ნებართვა–სამეურნეო და საწარმოო ობიექტები–• და შეარჩიოთ „დამცავი ღობე“ ან „დამხმარე ტექნიკური ნაგებობები:– ახალი მშენებლობა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თქვენს მიერ არჩეული ნომეკლატურა არ არის სწორად შერჩეული და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ამ ეტაპზე თქვენი მოთხოვნა მიწის მოსწორებასთან დაკავშირებით.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.